

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი

National Sport Policy

2014 - 2020



შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილებით დამტკიცებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და შესაბამისი თემატური ჯგუფების მიერ.

დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობდა სპორტის განვითარებისთვის აუცილებელი სამი ძირითადი მიმართულებით:

1. სპორტული ინფრასტრუქტურა;
2. სასპორტო განათლება და მეცნიერება;
3. საკანონმდებლო ცვლილებები.

ტერმინთა განმარტება

პრეამბულა

თავი I. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის აუცილებლობის დასაბუთება

1. არსებული მდგომარეობის აღწერა;
2. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის აუცილებლობა.

თავი II. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედების ვადები

1. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედება განისაზღვრება კონკრეტული ვადით.

თავი III. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები

1. სპორტის, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის, ერთიანი ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება;
2. სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდა და განათლება;
3. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
4. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
5. სპორტის ეროვნული სახეობების შენარჩუნება და განვითარება;
6. სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა დადგენა და მათი განვითარების პირობების შექმნა.

თავი IV. სპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებები

1. მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის სისტემების განვითარება;
2. სასპორტო განათლების სისტემა;
3. სპორტული ინფრასტრუქტურა;
4. სპორტის განვითარების მდგრადი საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლები;
5. მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის საშეჯიბრო სისტემები;
6. სპორტის სახელმწიფო მართვის სტრუქტურა;
7. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი;
8. საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი;
9. სპორტის პოპულარიზაციის საფუძვლები.

თავი V. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის ამოქმედებისა და შესრულების მოსალოდნელი შედეგები

1. შედეგები ჯანმრთელობის, განათლებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში;
2. შედეგები მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის სფეროში;
3. საფინანსო-ეკონომიკური შედეგები.

ტერმინთა განმარტება

ეროვნული ნაკრები - ქვეყნის სახელით საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად პროფესიონალი მოყვარული სპორტსმენებისგან და მწვრთნელებისგან დაკომპლექტებული გუნდი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი - არის არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსით დარეგისტრირებული სპორტული ორგანიზაცია. მოქმედებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქარტიის შესაბამისად, პასუხისმგებელია ოლიმპიურ თამაშებში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობაზე და ეროვნულ დონეზე ხელს უწყობს ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას.

ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი - არის არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსით დარეგისტრირებული სპორტული ორგანიზაცია. მოქმედებს საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის კონსტიტუციის შესაბამისად, პასუხისმგებელია პარალიმპიურ თამაშებში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობაზე და ეროვნულ დონეზე ხელს უწყობს პარალიმპიური მოძრაობის განვითარებას.

ეროვნული სპორტული ფედერაცია - არის არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსით დაფუძნებული, საერთაშორისო სპორტული ფედერაციის მიერ აღიარებული შესაბამისი სპორტის სახეობის მმართველი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უფლებამოსილია დებულების თანახმად მოაწიოს შეჯიბრებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, ასევე უზრუნველყოფს ეროვნული ნაკრები გუნდების შეკრების და შეჯიბრებებში მონაწილეობის პროცესს. ხელს უწყობს შესაბამისი სპორტის სახეობის განვითარებას ქვეყანაში.

მოყვარული სპორტსმენი - სპორტსმენი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სპორტის სახეობის ეროვნული ფედერაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

მწვრთნელი - პირი, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციის შესაბამისად ახორციელებს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში სპორტული ვარჯიშების და საწვრთო პროცესის ორგანიზებას. ასევე პასუხისმგებელია შესაბამისი სპორტული კლუბის ან სპორტსმენის ადგილობრივ ან/და საერთაშორისო შეჯიბრებებზე შედეგების გაუმჯობესებაზე და წარმატების მიღწევაზე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი - საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შექმნილია ოლიმპიური თამაშების ორგანიზებისთვის და ოლიმპიური მოძრაობის პროპაგანდა/განვითარებისთვის. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ხელმძღვანელობს ოლიმპიური ქარტიით და აწევრიანებს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს მსოფლიოს მასშტაბით.

საერთაშორისო სპორტული ფედერაცია - საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც აერთანებს ერთ ან რამოდენიმე სპორტის სახეობას. ადგენს სტანდარტებს და აწვევრიანებს ეროვნულ ფედერაციებს მსოფლიოს ან ევროპის მასშტაბით.

სასკოლო სპორტი - არის საერთაშორისო სასკოლო სპორტული მოძრაობა. იგი წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელ ნაწილს და გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის სპორტული აქტივობის განხორციელებას, სკოლის ადმინისტრაციის დაქვემდებარების ქვეშ. სასკოლო სპორტის ძირითადი მიზნებია მოსწავლეთა ფიზიკური, ინტელექტუალური, მორალური და კულტურული განვითარება, შეჯიბრებებში მონაწილეობა და სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

სამოყვარულო სპორტული ორგანიზაცია - არასამეწარმეო, არაკომერციული კლუბი, ფედერაცია, კავშირი, ასოციაცია ან სხვა ორგანიზებული ჯგუფი, რომელთა მიერ გამართულ შეჯიბრებებში ღებულობენ მონაწილეობას მოყვარული სპორტსმენები.

საუნივერსიტეტო სპორტი - საუნივერსიტეტო სპორტი არის საერთაშორისო საუნივერსიტეტო სპორტული მოძრაობა. იგი გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის სპორტული აქტივობის განხორციელებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის დაქვემდებარების ქვეშ. საუნივერსიტეტო სპორტის ძირითადი მიზნებია სტუდენტებში სპორტული ღირებულებების დანერგვა, ჯანმრთელობის განმტკიცება, შეჯიბრებებში მონაწილეობა და ამ გზით სპორტული პოტენციალს რეალიზება.

სპორტი¹ - გულისხმობს არარეგულარული ან ორგანიზებული სახით ფიზიკური საქმიანობის ყველა ფორმას, რომლის მიზანია ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება და ყველა დონის შეჯიბრებებზე შედეგების მიღწევა.

სპორტსმენი - პირი, რომელიც დაკავებულია სპორტის ნებისმიერ სახეობაში სისტემატური წვრთნის პროცესით და მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტურნირებში და შეჯიბრებებში.

სპორტის მსაჯი - პირი, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციის თანახმად უფლებამოსილია ამა თუ იმ სპორტული სახეობის შეჯიბრებებზე დადგენილი სპორტული წესების დაცვისა და კონტროლის. სპორტის მსაჯს ასევე აქვს ეროვნული ან/და საერთაშორისო სპორტული ფედერაციის მიერ განსაზღვრული შესაბამისი კატეგორია.

¹ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტს მიერ მომზადებული ქართულენოვანი გამოცემა „ევროპის სპორტის ქარტია და სპორტული ეთიკის კოდექსი“, საქართველო, თბილისი, 2000 წ.

სპორტული განთლება - გულისხმობს ადამიანის ფიზიკური განვითარების შესახებ შესაბამის ცოდნას, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების საბაზისო მოძრაობითი და სპორტული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ფიზიკური თვისებების (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა, სიმარჯვე) განვითარებას.

სპორტული ნაგებობა - არის სპორტული წვრთნისთვის ან შეჯიბრებისთვის განკუთვნილი ობიექტი, რომელიც ემსახურება სპორტსმენების მომზადებისა და დაოსტატების პროცესს.

პროფესიონალი სპორტსმენი - პირი, რომლისთვისაც სპორტი წარმოადგენს ძირითად შემოსავლის წყაროს და სპორტულ საქმიანობას ეწევა შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტი) საფუძველზე.

პროფესიული სპორტი - წარმოადგენს სპორტის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი კლასის სპორტსმენების და სპორტული კლუბების წვრთნის პროცესს, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მათ ასპარეზობას, მათშორის ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმპ) სპორტი - ნებისმიერი ასაკის და სქესის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტული/ფიზიკური აქტივობა ორგანიზებული ან არაორგანიზებული ფორმით.

პრეამბულა

თანამედროვე მსოფლიოში სპორტი და სპორტის ინდუსტრია გლობალური მოვლენაა. სპორტს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში. სპორტი გავლენას ახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე, ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებასა და ადამიანთა ქცევაზე, საფინანსო-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე. სპორტს გააჩნია, როგორც აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი, ისე ეკონომიკური ფუნქცია. იგი ასევე ხელს უწყობს ქვეყანაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ამის ნათელი მაგალითია ოლიმპიური მოძრაობა და ევროპის სპორტის ქარტია, გაეროს მიერ სპორტის, როგორც მშვიდობისა და თანასწორობის საუკეთესო საშუალების გამოყენება კონფლიქტურ ზონებში.

სახელმწიფო ვალდებულია, სპორტი ჩართოს საზოგადოების სამსახურში და უზრუნველყოს სპორტის გამაჯანსაღებელი და აღმზრდელობითი ფუნქციის მაქსიმალურად წარმატებით გამოყენება, ხელი შეუწყოს სპორტის, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტის, სწორ ინსტიტუციურ საწყისებზე დაფუძნებასა და სპორტის ინდუსტრიის პოზიტიურ გავლენას საფინანსო-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე.

უაღრესად მნიშვნელოვანია სპორტის, როგორც სამოქალაქო ერთიანობის ხელშეწყობისა და ინტეგრაციულ პროცესებში დადებითი როლის მატარებელი ფაქტორის გამოყენება; ეროვნული ნაკრებისა თუ ცალკეული სპორტსმენის წარმატება აერთიანებს განსხვავებული ეროვნების, სქესისა და აღმსარებლობის ადამიანებს და მათ ერთობის მძლავრ განცდას უჩენს. სპორტს ძალუმს, ხელი შეუწყოს საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში; სპორტს აქვს ხალხთა შორის ურთიერთობების აღდგენისა და გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პოტენციალი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნის ძალისხმევა რეგიონალური თვალსაზრისით, კავკასიის ხალხთა შორის ისტორიული პოტენციალის გამოყენება მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის გატარების ხელშემწყობ პროცესებში.

არსებული პრობლემების მოგვარებისა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით შემუშავდება სპორტის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.

თავი I.
სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის
აუცილებლობის დასაბუთება

1. არსებული მდგომარეობის აღწერა

პოსტსაბჭოურ პერიოდში დაიშალა საბჭოთა სპორტის სისტემა, გაქრა ის იდეოლოგია, რომელსაც ეფუძნებოდა საბჭოთა სპორტი.

დამოუკიდებელ საქართველოში არ ჩამოყალიბებულა არაპროპაგანდისტული, ადამიანის თავისუფლებასა და ღირსებაზე დაფუძნებული სპორტის კონცეფცია და არ შექმნილა ამ კონცეფციის შესატყვისი, თავისუფალ საწყისებზე დაფუძნებული სპორტის სისტემა. შესაბამისად, დღემდე არ არსებობს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი. სპორტის ცალკეული სახეობებისათვის სახელმწიფო დახმარებას, ძირითადად, აქვს ფრაგმენტული და არასისტემური ხასიათი და იგი არ არის ორგანულად ერთიანი სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედება.

საბჭოური პერიოდის სპორტული ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი განადგურდა, შეეცვალა პროფილი, მოძველდა და ვეღარ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, ან გასხვისდა და გავიდა სპორტის სისტემიდან. საბჭოთა ეპოქის სპორტული ინფრასტრუქტურის მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა ფუნქციური დატვირთვა. პრაქტიკულად არ არსებობს სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტული ინფრასტრუქტურა. ახალი სპორტული ნაგებობები, რომლებიც აშენდა კერძო თუ სახელმწიფო სახსრებით, არ არის საკმარისი სპორტში არსებული ამოცანების დასაძლევად.

ქვეყანაში დღეისათვის არსებული მდგომარეობით:

- ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (*ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდებ დაავადებები*).
- დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, რასაც ადასტურებს „სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი“-ის მიერ 2013 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევების მონაცემები. სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღ გასართობთა მზარდი პოპულარობა (*კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი, კაზინო და სხვა*).

ამ გარემოებებიდან გამომდინარე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების

დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

ვინაიდან მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა და სპორტში აქტიური ჩართულობა არის ის საძირკველი და საფუძველი რასაც ეყრდნობა და რაზეც შენდება არა მარტო ქვეყნის ოლიმპიური, მაღალი მიღწევების და პროფესიული სპორტი, არამედ მოსახლეობის ჯანმრთელობა, ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარება და ერის გამრავლება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და პატრიოტული სულისკვეთება.

2. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის აუცილებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 34¹ ადგენს:

”სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდათა ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას.”

სპორტის სფეროში ჩვენს ქვეყანას რიგ სახელმწიფოებთან დადებული აქვს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები. ამასთან, საქართველო არის „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის წევრი სახელმწიფო. გარდა ამისა, საქართველო შეუერთდა სარეკომენდაციო ხასიათის მქონე საერთაშორისო დოკუმენტებს (გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, ევროპის სპორტის ქარტია და ეთიკის კოდექსი) და მიღებული აქვს რეკომენდაციები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (გაეროს და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციები).

კონსტიტუციის მითითებული მუხლი და ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და საერთაშორისო დონეზე მიღებული რეკომენდაციები სახელმწიფოს განუსაზღვრავს ფუნქციას შექმნას სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ინსტიტუციური მექანიზმები და უზრუნველყოს სპორტის სფეროში გრძელვადიანი და დაგეგმილი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რის შედეგადაც მიღწეული იქნება მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტში მათი ჩართვის ამოცანა.

ეს ვალდებულებები ვერ შესრულდება სახელმწიფოს მიერ სპორტის ცალკეული სახეობებისათვის წერტილოვანი დახმარებებით (რასაც უფრო მეტად გადარჩენის, ან მოკლევადიანი სპორტული წარმატების მიღწევის ამოცანა აქვს) და არასისტემური მიდგომა სპორტისადმი (რაც იწვევს სახელმწიფო სახსრების არაეფექტიან გამოყენებას). ასეთი ქმედებები გათვლილი იყო მხოლოდ მაღალი მიღწევების სპორტულ შედეგებზე, რამაც უარყოფითად იმოქმედა მასობრივი სპორტის განვითარებაზე, განსაკუთრებით ბავშვთა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდაზე და მათ სპორტულ აქტივობაზე. საბოლოო ჯამში გაუარესდა მოსახლეობის ჯანმრთელობა და საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ქვეყნის მიღწევები. ოლიმპიური, მაღალი მიღწევებისა და პროფესიული სპორტი უნდა საზრდოობდეს იქიდან, რასაც ჰქვია სასკოლო,

საუნივერსიტეტო და მასობრივი სპორტი, ამ დონეზე რაც უფრო მეტი მოსახლეობაა ჩართული, მით მეტია სპორტული შედეგებიც.

აუცილებელია სპორტისადმი სისტემური მიდგომა, სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შექმნა; სწორედ ამგვარი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც დაეფუძნება ერთიან კონცეფციას, უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების უფრო შედეგიან ხარჯვასა და სპორტის ინსტიტუციურ გრძელვადიან და სისტემურ განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გახდება სახელმწიფოს მიერ ზემოთ მითითებული კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების საფუძველი.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სპორტი საჭიროებს სისტემურ რეფორმას. რეფორმა უნდა დაეფუძნოს სპორტის, როგორც ერთიანი სისტემის, მრავალგანზომილებიანი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის, ახლებურ გააზრებას.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

თავი II.
სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის
მოქმედების ვადები

1. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედება განისაზღვრება კონკრეტული ვადით

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზება უნდა მოხდეს სპორტის განვითარების სამუალო და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის მეშვეობით. ამასთანავე, ქვეყნის განვითარების თითოეული ეტაპისათვის შემუშავებული იქნება კონკრეტული ამოცანების მისაღწევად საჭირო ყოველწლიური პროგრამები.

თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში სპორტის ფუნქციის ახალი კონცეფციის დამკვიდრება, სპორტის სისტემის სამართლებრივი ბაზის შექმნა, ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტის მეთოდური პროგრამებისა და მასალების მომზადება, სპორტის სისტემის ფუნქციონირების სტაბილური საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლების სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება შესაძლებელია მოკლევადიან პერსპექტივაში, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება საჭიროებს ხანგრძლივ პერიოდს.

წინამდებარე დოკუმენტის ცალკეული ნაწილების რეალიზება და ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება, დაიწყება დოკუმენტის დამტკიცებისთანავე, 2014 წელი, იქნება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის ამოქმედების პირველი სრული კალენდარული წელი, ამასთანავე, მასაც, უმთავრესად, ექნება მოსამზადებელი ხასიათი და არ გამოიწვევს მნიშვნელოვან საბიუჯეტო დანახარჯებს.

2014 წელს შეიქმნება სპორტის სისტემის რეფორმირების საფუძვლები, კერძოდ, სპორტის განვითარების დამტკიცებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის კონცეპტუალური დებულებების შესაბამისად.

2014 წელს დასრულდება სპორტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროცესი (რაც არ საჭიროებს დამატებითი საბიუჯეტო თანხების გამოყოფას).

2014 წელს შემუშავდება და მომზადდება ერთიან კონცეფციაში გააზრებული სახელმწიფო პროგრამა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით (საგანმანათლებლო და სპორტის მეთოდური მასალები, შეფასებისა და საშეჯიბრო სისტემები), ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სამივე დონეზე (სკოლამდელი, სასკოლო და საუნივერსიტეტო), რომელიც გარდამავალ ეტაპზე შესაძლებლობას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ის მდგომარეობა, რომელიც დღესდღეისობით არსებობს ჩვენს ქვეყანაში.

2014 წლის პირველ ნახევარში საჭიროა მომზადდეს სხვადასხვა სახის სპორტული კომპლექსის სტანდარტული (ტიპიური) არქიტექტურული პროექტები და ხარჯთაღრიცხვა.

2014 წელსვე მომზადდება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება დაიწყება 2015 წლიდან. აუცილებელია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ხარჯები შესაბამისობაში იქნება წლიურ ბიუჯეტთან.

შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი, შესრულების ვადები და შემსრულებელი სუბიექტები მითითებული იქნება წინამდებარე დოკუმენტის სამოქმედო გეგმის ნაწილში, რომელიც თემატური ჯგუფების მიერ შემუშავდება 2014 წლის პირველ ნახევარში და წარმოდგენილი იქნება დანართის სახით.

თავი III.
სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის
სტრატეგიული მიზნები

1. სპორტის, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის, ერთიანი ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება

ჯანსაღი თაობის აღზრდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მავნე ჩვევების დაძლევის ხელშეწყობა სისტემის ჩამოყალიბების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სპორტის, როგორც ბავშვთა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარების, ფიზიკური აღზრდის, ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრებისაკენ მიდრეკილების, ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმისადმი ლტოლვის დაძლევა, ცხოვრების "უძრავი წესის" ჩანაცვლება ფიზიკურად აქტიური ცხოვრებით.

2. სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდა და განათლება

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ასაკობრივ სტანდარტებზე დაფუძნებული ფიზიკური აღზრდისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრების, ბავშვის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობისთვის. ურთიერთშემწყნარებლობის გრძნობების ჩამოყალიბება. შშმ და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა ფიზიკური აღზრდა და მათი საზოგადოებაში ადაპტაციის ხელშეწყობა.

3. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა

მასობრივი სპორტის განვითარება პირველ რიგში ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფიზიკურ გაჯანსაღებას და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მასობრივი სპორტის განვითარება ნიშნავს მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისთვის მყარი საფუძვლის შექმნას, რაც ქვეყნისთვის ასევე პრიორიტეტია.

გარდა ამისა, მასობრივი სპორტის განვითარება განაპირობებს სხვა დადებით ტენდენციებსაც:

3.1. დანაშაულის პრევენცია

ბავშვებისა და ახალგაზრდების ენერჯის და აგრესიულობის მოქცევა ჯანსაღი სპორტული შეჯიბრების კალაპოტში. თავისუფალი დროის სპორტით შევსება.

3.2. დაავადებათა პრევენცია

ფიზიკური აქტიურობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებით, მასობრივ სპორტში აქტიური ჩართულობით დაავადებათა პრევენციისა და მოსახლეობის გაჯანსაღების საფუძვლების შექმნა.

3.3. აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება

სპორტის და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების საშუალებით მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.

3.4. პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება

სპორტის მასობრიობის უზრუნველყოფით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება.

4. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა

4.1. მაღალი მიღწევების სპორტის სწორი ინსტიტუციური საფუძვლების ჩამოყალიბება (საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის გამიჯვნა, ეთიკური სტანდარტების დანერგვისა და გაძლიერების ხელშეწყობა);

4.2. მაღალი მიღწევების სპორტის მდგრადი საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლების ჩამოყალიბება (მაღალი მიღწევების სპორტის პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების პრინციპების განსაზღვრა, ინფრასტრუქტურის შექმნაში სახელმწიფოს მონაწილეობა, ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების დაფინანსება, საგრანტო სისტემის შექმნა, ფინანსური ანგარიშვალდებულება);

4.3. მაღალი მიღწევების სპორტის, როგორც პოზიტიური სოციალური ფენომენის (ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტში ჩართულობის ხელშემწყობი ფაქტორისა და სხვა მსგავსი ასპექტების) გაძლიერება (სისტემატური სოციოლოგიური კვლევების ჩატარება და მიღებული შედეგების შესატყვისი ქმედებების დაგეგმვა);

4.4. მაღალი მიღწევების სპორტის, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტის, განვითარების ხელშეწყობა (მაღალი მიღწევების სპორტი, როგორც ქვეყნის პოზიტიური სახის შექმნელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი; სპორტი, როგორც სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და სპორტული ეკიპირების წარმოების სტიმულატორი; სპორტის ინდუსტრია, როგორც დასაქმების დამატებითი სივრცე, სპორტი, როგორც ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი).

5. სპორტის ეროვნული სახეობების შენარჩუნება და განვითარება

შენარჩუნებულ იქნება სპორტის ეროვნული სახეობები, როგორც კულტურული მემკვიდრეობა, უზრუნველყოფილ იქნება მათი განვითარება. ეს ამოცანები მიღწეულ იქნება შემდეგი ქმედებებით:

5.1. სპორტის ეროვნულ სახეობათა გამოცხადება არამატერიალური კულტურის ძეგლებად;

5.2. სპორტის ეროვნული სახეობების (ლელობურთი, ქართული ჭიდაობა, ხრიდოლი, ისინდი და სხვა.), როგორც არამატერიალური კულტურული ძეგლებისა და ფიზიკური აღზრდის ეროვნული სისტემის შენარჩუნება, სპორტის ტრადიციული ეროვნული სახეობების ორგანული ჩართულობა თანამედროვე სპორტის სისტემაში, მათი პოპულარიზაცია და განვითარება.

6. სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა დადგენა და მათი განვითარების პირობების შექმნა

რესურსების (სპორტული პოტენციალი, სპორტული ინფრასტრუქტურა და ფინანსები) შეზღუდული რესურსების პირობებში აუცილებელია სპორტის ცალკეული სახეობების პრიორიტეტულ სახეობებად გამოცხადება და აქცენტის გაკეთება მათ განვითარებაზე.

სპორტის პრიორიტეტულ სახეობად აღიარების კრიტერიუმებია: სოციალური ფუნქციის შესრულების პოტენციალის კოეფიციენტი, ტრადიციულობა, პოპულარობა, განვითარების შესაძლებლობა, ოლიმპიურ და პარალიმპიურ სახეობად აღიარება, ინვესტირების მაქსიმალური ეფექტიანობა, მიღწეული შედეგები.

სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა ნუსხას ადგენს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან კოორდინაციაში და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

დასაშვებია, სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა ნუსხაში განსაზღვრული პერიოდულობით ცვლილებების შეტანა.

სახელმწიფოს ვალდებულება იქნება ხელი შეუწყოს სპორტის პრიორიტეტული სახეობების განვითარებას (შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით). სპორტის სხვა სახეობების განვითარებისთვის პროგრამული საბიუჯეტო დაფინანსება დასაშვებია იქნება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (განსაკუთრებული ნიჭის მქონე პირის გამოჩენა სპორტის არაპრიორიტეტულ სახეობაში).

თავი IV.
სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის
ძირითადი მიმართულებები

1. მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება

მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის ფუნქციური სპეციფიკიდან გამომდინარე საკანონმდებლო დონეზე გაიმიჯნება მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტი. აღნიშნული მიმართულებების ჩამოყალიბდება მართვის შესაბამისი სიტემები.

1.1. მასობრივი სპორტის სისტემა

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება უზრუნველყოფს:

- მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობას;
- სპორტული ნიჭის მქონე ბავშვების გამოვლენას და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობას;
- ერთიანი სტანდარტების შემუშავებას.

მასობრივი სპორტი შედგება შემდეგი ძირითადი მიმართულებებისაგან:

- სკოლამდელი ფიზიკური აღზრდა;
- სასკოლო სპორტი;
- საუნივერსიტეტო სპორტი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტი;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ პირთა სპორტი;
- სპორტი პროფესიული ინტერესების მიხედვით.

მასობრივი სპორტის განვითარებისთვის საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და დაამტკიცებს:

- სასკოლო სპორტის განვითარების სტრატეგიას;
- საუნივერსიტეტო სპორტის განვითარების სტრატეგიას;
- მასობრივი სპორტის განვითარების შესაბამის სტანდარტებს.

ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით დადგინდება ფიზიკური აღზრდის სავალდებულო პროგრამები.

მასობრივი სპორტი მომავალში ძირითადად ორგანიზებული უნდა იყოს სპორტული კლუბებისა და სპორტული სკოლების მეშვეობით.

სახელმწიფოს მხრიდან მოხდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლები, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლო დაწესებულებები, ადგილობრივი სპორტული სკოლები) ვარჯიშებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა. დასაშვებია იქნება კერძო დაფინანსებაც. შეიქმნება კერძო დაფინანსების ხელშემწყობი მოდელი.

ეტაპობრივად, სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და ფინანსური უზრუნველყოფის საფუძვლების შესაბამისად ჩამოყალიბდება სპორტული კლუბები.

1.2. მაღალი მიღწევების სპორტის სისტემა

მაღალი მიღწევების სპორტი არის მასობრივი (სასკოლო და სტუდენტური) სპორტის განვითარების მძლავრი სტიმული და, ამავდროულად, ეკონომიკის ერთ-ერთი სეგმენტი, რომელსაც სწორი ინსტიტუციური მოწყობისა და ხელშეწყობის პირობებში შეიძლება გაუჩნდეს განვითარების შინაგანი საფინანსო-ეკონომიკური რესურსები.

მაღალი მიღწევების სპორტის, როგორც სპორტში მოზარდთა და ახალგაზრდობის ჩართულობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მძლავრი სტიმულის, ხელშეწყობა სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისთვის ხელშემწყობი ძირითადი მიმართულებებია:

- მაღალი მიღწევების სპორტისთვის შესაბამისი სტანდარტების ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება;
- სპორტის პრიორიტეტული სახეობების ეროვნული ფედერაციების პროგრამული (მიზნობრივი) დაფინანსება;
- სპორტული კლუბების დაფინანსების საგრანტო სისტემის შექმნა და ფუნქციონირება;
- სპორტული კლუბების საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩართულობის ხელშეწყობა.

მაღალი მიღწევების სპორტს სრულად და დამოუკიდებლად მართავენ შესაბამის სპორტის სახეობათა ეროვნული ფედერაციები.

მაღალი მიღწევების სპორტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია სპორტული კლუბები და ასოციაციები. დადგინდება სპორტული კლუბის სტატუსის მიღების საკანონმდებლო საფუძვლები და პროცედურები, სპორტული კლუბის ფუნქციონირების სტანდარტები (მართვის სტრუქტურა, მინიმალური ფინანსური ნორმატივები და სხვა.).

2. სასპორტო განათლების სისტემა

შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების სასპორტო განათლების სისტემა, რომელიც მოემსახურება როგორც მასობრივ, ისე მაღალი მიღწევების სპორტს.

სასპორტო განათლების სისტემა მოიცავს სპორტის სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს, მწვრთნელთა მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრებს და ინსტიტუტებს.

სასპორტო განათლების სისტემა უზრუნველყოფს:

- სპორტში კვალიფიციურ კადრებს;
- მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების თანამედროვე მეცნიერულ საფუძვლებს და კვლევებს.

2.1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურს და არის სახელმწიფოს მრჩეველი სპორტის განვითარების სტრატეგიისა და სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობა შესაბამისობაშია ევროპის უმაღლესი სპორტული განათლების სტანდარტებთან და მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას:

- სპორტული წვრთნის ხელოვნება;
- სპორტის მენეჯმენტი;
- ფიზიკური აღზრდა;
- ჯანმრთელობა და ფიტნესი.

ამ მიმართულებათა ფარგლებში უნივერსიტეტი ამზადებს შემდეგი კომპეტენციის სპეციალისტებს: მწვრთნელებს, სპორტის მენეჯერებს, სპორტის უსაფრთხოების სპეციალისტებს, სპორტის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს, ფიზიკური მომზადების მასწავლებლებს, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებს, სპორტულ ჟურნალისტებს, ჯანმრთელობის და ფიტნესის სპეციალისტებს, სპორტში მეცნიერულ კვლევათა წარმოების სპეციალისტებს, სპორტული პრობლემატიკის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების სპეციალისტებს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასევე ეწევა საქმიანობას უწყვეტი სპორტული განათლებისა და განვითარების მიმართულებით და უზრუნველყოფს მომზადებული კადრების კომპეტენციის შენარჩუნებასა და გაზრდას.

2.2. სპორტის ფაკულტეტები საგანმანათლებლო დაწესებულებებში

საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეტაპობრივად (კადრების მომზადების, სპორტული ინფრასტრუქტურისა და დაფინანსების უზრუნველყოფის შესაბამისად) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე შეიქმნება სპორტის ფაკულტეტები, რომლებიც გაივლიან შესაბამის ავტორიზაციას და მოამზადებენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს სკოლებისათვის და ასევე მწვრთნელებს სპორტის სხვადასხვა სახეობებისათვის.

სახელმწიფო უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის შექმნასა და განვითარებას. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი ამზადებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრებს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სპორტული მედიცინის განვითარებას, ქმნის სპორტული მედიცინის რეგიონულ ცენტრებსა და მუნიციპალურ განყოფილებებს, სპორტის შესაბამისი სახეობების ეროვნულ ფედერაციებთან ერთად ქმნის წვრთნისა და

სპორტული შეჯიბრებების მონაწილეთა სამედიცინო უსაფრთხოებისა და მომსახურების სისტემას.

2.3. ეროვნული სასწავლო გეგმები

გადამუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმები სპორტის მიმართულებით (სპორტის გაკვეთილები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სკოლამდელ დაწესებულებებში). გეგმები გადამუშავდება შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის შესაბამისად.

2.4. მწვრთნელთა მომზადების სისტემა

მწვრთნელთა მომზადების სისტემა უზრუნველყოფს სპორტის მასწავლებლებისა და პროფესიონალი მწვრთნელების მომზადებას.

სპორტის მასწავლებლებს უფლება ექნებათ, მწვრთნელებად იმუშაონ სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტულ კლუბებში. ასევე, სპორტის მასწავლებლებს უფლება ექნებათ, ლიცენზირების პირობების დაკმაყოფილების შემდეგ შესაბამისი სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაციისაგან მიიღონ პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია/კატეგორია.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნება სპორტის მასწავლებლების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სავალდებულო კურსები, რომელსაც პირველ ეტაპზე ეტაპობრივად გაივლის ყველა სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

პროფესიონალ მწვრთნელებს ამზადებს შესაბამისი სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაცია და გასცემს შესაბამის ლიცენზიას/კატეგორიას.

მუნიციპალურ სპორტულ კლუბსა და ადგილობრივ სპორტულ სკოლაში ბავშვთა მწვრთნელებად მუშაობის უფლება ექნებათ დიპლომირებულ სპორტის მასწავლებლებს, რომლებსაც შესაბამისი სახეობის სპორტული ფედერაციისაგან მიღებული ექნებათ შესაბამისი კატეგორიის პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია.

პროფესიონალ მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი სახეობის საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტებს.

პროფესიული სპორტული კლუბებისათვის მწვრთნელებს ამზადებენ შესაბამისი სახეობის სპორტული ფედერაციები. სახელმწიფო ხელს შეუწყობს პროფესიონალ მწვრთნელთა მომზადებას პროგრამული დაფინანსებით.

3. სპორტული ინფრასტრუქტურა

სპორტული ინფრასტრუქტურა არის სპორტის სისტემის მატერიალური ბაზა, რომლის შექმნისა და განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელება.

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 34¹-ით დადგენილი ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს, სპორტული ინფრასტრუქტურა შექმნას და განავითაროს სახელმწიფო

სახსრებით, ამასთან, ამ ვალდებულების შესრულება არ გამორიცხავს არასამთავრობო და კერძო სექტორის ჩართულობას სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

დღევანდელი მდგომარეობით საბჭოთა პერიოდის სპორტული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი განადგურებულია, შემორჩენილი მცირე ნაწილი კი ან მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს, ან არ აკმაყოფილებს არსებულ რაოდენობრივ, თუ ხარისხობრივ მოთხოვნებს. შესაბამისად, აუცილებელია როგორც, შემორჩენილი სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლება, ისე ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება და ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდობის სპორტში ჩართულობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი პროფესიული ზრდის პერსპექტივაზე – ანუ მაღალი მიღწევების სპორტის წარმატებულ ფუნქციონირებაზე. გარდა ამისა, სხვადასხვა ასაკობრივი და ეროვნული გუნდების საერთაშორისო წარმატებები ზრდის სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოპულარობას მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის, ხელს უწყობს მათ ჩართვას სპორტში. შესაბამისად, სახელმწიფოს სახსრებით შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიონალ სპორტსმენებისა და პროფესიული სპორტული კლუბებისათვისაც.

სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის, განვითარებისა და მოვლა-პატრონობის დაფინანსებას მაქსიმალური შედეგი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსება (მათ შორის, კერძო და არასამთავრობო სექტორის თანადაფინანსება) განხორციელდება მუდმივმოქმედი სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში, რადგან ამგვარი დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა დაფუძნებული იქნება გააზრებულ კონცეფციაზე, დასახული იქნება მიზნები, მათი მიღწევის მექანიზმები, ეტაპები და პოლიტიკის განხორციელების სხვა კომპონენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში დაფინანსება იქნება ერთჯერადი და უნაყოფო, ან მცირე დახარჯულ ფინანსებთან შეფარდებით არაპროპორციული შედეგის მომტანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სპორტული ინფრასტრუქტურის სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, სახელმწიფო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა კი უნდა იყოს არა გრძელვადიანი, არამედ მუდმივმოქმედი, რადგან სახელმწიფოს არსებობის პირობებში არასოდეს დადგება დრო, როცა არ იდგება ბავშვთა და მოზარდთა აღზრდისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების ამოცანა.

შემუშავდება სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოვლა-პატრონობის საფინანსო საფუძვლები. აგრეთვე კერძო ინვესტიციების მოზიდვის სამართლებრივი სტანდარტები, დადგინდება სპორტულ ინფრასტრუქტურაში სავალდებულო წესით კომერციული ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინების ნორმა. საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიღების

სტანდარტებში შესატანად შემუშავდება სპორტული კომპონენტის სტანდარტები (მინიმალური სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობა, სპორტის სასწავლო პროგრამები).

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში პრიორიტეტულად ჩაითვლება სპორტული კომპლექსების შექმნა (სპორტული ნაგებობების განთავსება ერთიან ტერიტორიაზე), რათა სხვადასხვა სახეობაში მოვარჯიშე სპორტსმენებს საშუალება ჰქონდეთ გამოიყენონ მზადების შესაბამის ეტაპზე საჭირო სპორტული ნაგებობა და ადვილად ისარგებლონ სპორტის სხვა სახეობის მწვრთნელთა დახმარებით; ამასთანავე, კომპლექსის ერთიანობა ხელს შეუწყობს სპორტსმენთა შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ასევე სპორტსმენთა სპორტის ერთი სახეობიდან სხვა მათთვის სასურველ სახეობაში გადასვლას.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავდება სპორტული ინფრასტრუქტურის სტანდარტები და განვითარების სამოქმედო გეგმა შემდეგი მიმართულებებით:

- სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურა;
- საუნივერსიტეტო სპორტული ინფრასტრუქტურა;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურა;
- სახელმწიფო სპორტული ინფრასტრუქტურა.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება ყველა დონეზე ასევე მოიცავს სპორტული ტურიზმის განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას რეგიონში და მასობრივი სპორტის განვითარებას. სპორტული ტურიზმი ყველაზე პოპულარულია მთიან რეგიონებში, შესაბამისად სახელმწიფო იზრუნებს საქართველოს სამთო კურორტებზე სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს პირველ რიგში სამთო სათხილამურო სპორტის განვითარებას და ასევე ადგილობრივი მოსახლეობის სპორტულ/ფიზიკურ აქტივობებში ჩაბმას, ფიზიკურ გაჯანსაღებას, დასაქმებას, მცირე ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებას.

4. სპორტის განვითარების მდგრადი საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლები

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობად იქნება სპორტის განვითარების მდგრადი საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლების შექმნა.

ამ მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს:

- 4.1. სპორტში კერძო სექტორის მიერ თანხების ინვესტირების ხელშემწყობი პირობების ჩამოყალიბებას;
- 4.2. მასობრივი სპორტის სტაბილური საბიუჯეტო დაფინანსების პრინციპების განსაზღვრას;
- 4.3. მაღალი მიღწევების სპორტის სტაბილური პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების ობიექტური კრიტერიუმების დადგენას;

4.4. ინსტიტუციური განვითარების ხელშემწყობი საგრანტო დაფინანსების სისტემის შექმნას;

4.5. სპორტის სფეროში დაფინანსების გაზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას.

სახელმწიფო დააფინანსებს სპორტის პრიორიტეტული სახეობების ეროვნული ფედერაციების პროგრამებს და სხვა სპორტული ფედერაციების საშეჯიბრო კალენდარს, რისთვისაც შეიმუშავებს შესაბამის კრიტერიუმებს და სტანდარტებს.

ასევე შეიძლება საჭირო გახდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რაც ადგილობრივ თვითმართველ ერთეულს საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განსაზღვრული ნაწილი გამოყოს სპორტის ხელშეწყობისათვის (მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მოვლა-პატრონობა და განვითარება, მუნიციპალური სპორტული კლუბის და მასობრივი სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება). ადგილობრივ თვითმართველი ერთეული დაადგენს ამ თანხების განაწილების ობიექტურ კრიტერიუმებს, მათ შორის, სპორტული კლუბების სუბსიდირების სამართლებრივ საფუძვლებს.

5. მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის საშეჯიბრო სისტემები

საშეჯიბრო სისტემა შედგება მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის საშეჯიბრებო ქვესისტემებისაგან, რაც გულისხმობს ადგილობრივი და საერთაშორისო დონის ტურნირებში მონაწილეობასა და მათ ორგანიზებას. გამართული საშეჯიბრო სისტემების ერთობლიობა ქვეყანაში ქმნის სპორტის განვითარების მყარ საფუძველს, რაც საბოლოო ჯამში აისახება ჯანსაღი თაობების აღზრდასა და მაღალ სპორტულ შედეგებზე.

5.1. მასობრივი სპორტის საშეჯიბრებო სისტემა

- შიდა სასკოლო და სკოლათაშორისი საშეჯიბრო სისტემა;
- საუნივერსიტეტო სპორტული კლუბების საშეჯიბრო სისტემა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტის საშეჯიბრო სისტემა;
- მასობრივი სპორტული ფესტივალები;
- ჭაბუკთა ლიგები (მასში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალური სპორტული კლუბები, ადგილობრივი სპორტული სკოლის კლუბები, პროფესიული კლუბების ასაკობრივი გუნდები).

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით დგინდება თითოეული ამ შეჯიბრების დებულება, რომლებსაც ერთობლივად ამტკიცებენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და სპორტული ფედერაციები სახეობების მიხედვით.

5.2. მაღალი მიღწევების სპორტის საშეჯიბრო სისტემა

მაღალი მიღწევების სპორტის საშეჯიბრო სისტემა ეროვნული სპორტული ფედერაციების ექსკლუზიური კომპეტენციაა. დადგინდება სახელმწიფო დახმარების

ინსტიტუციური (სამართლებრივი, მატერიალური, ფინანსური) საფუძვლები, რაც გულისხმობს შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრას და სტანდარტების შემოღებას.

5.3. საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებები

ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად დადგინდება სპორტის სათამაშო სახეობებში საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებში საქართველოს პროფესიული სპორტული კლუბების მონაწილეობის სახელმწიფო უზრუნველყოფის საფუძვლები.

5.4. საერთაშორისო სანაკრებო და ინდივიდუალური შეჯიბრებები

დადგინდება საერთაშორისო გუნდურ და ინდივიდუალურ შეჯიბრებებში საქართველოს ეროვნული ნაკრების (სათამაშო და ინდივიდუალური სახეობები) მონაწილეობის სახელმწიფო უზრუნველყოფის საფუძვლები და ობიექტური კრიტერიუმები.

5.5. ოლიმპიური თამაშები

დადგინდება ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ეროვნული ნაკრების (სათამაშო და ინდივიდუალური სახეობები) მონაწილეობის სახელმწიფო უზრუნველყოფის საფუძვლები და ობიექტური კრიტერიუმები.

5.6. სპორტის ეროვნულ სახეობათა საშეჯიბრებო სისტემა

ჩამოყალიბდება სპორტის ეროვნულ სახეობებში საშეჯიბრებო სისტემა (სპორტის ეროვნულ სახეობათა ფესტივალები).

6. სპორტის სახელმწიფო მართვის სტრუქტურა

სპორტის მართვა არის საქართველოს პარლამენტისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კომპეტენცია, ხოლო სპორტის პოპულარიზაციისა და მისი განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით, ჩართულნი იქნებიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სხვადასხვა სამინისტროები თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

6.1. საგარეო საქმეთა სამინისტრო

- 6.1.1. სპორტის სფეროში საერთაშორისო კავშირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა;
- 6.1.2. საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ეროვნული ნაკრები გუნდებისა და სპორტული კლუბებისთვის დახმარების გაწევა;
- 6.1.3. სპორტის სფეროში ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასა და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების სავალდებულოდ აღიარებაზე მუშაობის კოორდინაცია და შესაბამისი პროცედურების გატარება.

6.2. იუსტიციის სამინისტრო

- 6.2.1. სპორტის სფეროში ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და განვითარების პროცესში მონაწილეობა;
- 6.2.2. სპორტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების პროცესში მონაწილეობა.

6.3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- 6.3.1. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა;
- 6.3.2. სპორტის მასწავლებელთა გადამზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- 6.3.3. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება და ფინანსური უზრუნველყოფა;
- 6.3.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტში ჩართვა და ამ გზით მათი სოციალური ინტეგრაციისათვის მომზადება;
- 6.3.5. სასპორტო უმაღლესი განათლებისა და სპორტის ზოგადსაგანმანათლებლო ეროვნული პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- 6.3.6. სპორტის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
- 6.3.7. სასპორტო განათლების სფეროში ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და განვითარების ხელშეწყობა;

6.4. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- 6.4.1. არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სპორტისა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია;
- 6.4.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტში ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ გზით მათი სოციალური ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა;
- 6.4.3. სპორტული მედიცინის განვითარების ხელშეწყობა;
- 6.4.4. სპორტის სფეროში ნორმატიული ბაზის სრულყოფისა და განვითარების ხელშეწყობა.

6.5. შინაგან საქმეთა სამინისტრო

- 6.5.1. სპორტის ჩართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სპეციალური მომზადების სისტემაში;
- 6.5.2. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა;
- 6.5.3. უწყებრივი სამოყვარულო სპორტული კლუბების ორგანიზება და მასობრივ სპორტულ ფესტივალებში/შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება.

6.6. თავდაცვის სამინისტრო

- 6.6.1. სპორტის ჩართვა თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა სპეციალური მომზადების სისტემაში;
- 6.6.2. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა;
- 6.6.3. უწყებრივი სამოყვარულო სპორტული კლუბების ორგანიზება და მასობრივ სპორტულ ფესტივალებში/შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება.

6.7. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

- 6.7.1. სპორტის, როგორც კულტურის ფენომენის წარმოჩენა, ეროვნული სპორტული ტრადიციებისა და ფასეულობების პოპულარიზაცია როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- 6.7.2. დიდ საერთაშორისო სპორტულ ფორუმებზე (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატები, ევროპის ჩემპინატები, უნივერსიადები და სხვა.) კულტურული პროგრამების წარდგენა;
- 6.7.3. ეროვნული სპორტული სახეობების პოპულარიზაცია, არამატერიალური ძეგლის სტატუსის მინიჭება, შესაბამისი ისტორიული დღესასწაულების აღდგენა, ფესტივალებისა და შეჯიბრებების ორგანიზების ხელშეწყობა, განსაკუთრებით რეგიონებში.

6.8. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- 6.8.1. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა (ურბანული განვითარების პროცესში სპორტის კომპონენტის სავალდებულო გათვალისწინება, სპორტული ფუნქციის პრიორიტეტულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების, ან სარგებლობის უფლებით გაცემისას);
- 6.8.2. სპორტის, როგორც ტურიზმის ხელშემწყობი ფენომენის, გამოყენება და შესაბამისი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, დიდ საერთაშორისო სპორტულ ფორუმებზე (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატები, ევროპის ჩემპინატები, უნივერსიადები და სხვა.) შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

6.9. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

- 6.9.1. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა;
- 6.9.2. სპორტის მეშვეობით მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური, ეროვნული და ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა;
- 6.9.3. სპორტის მეშვეობით იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქო-ემოციური რეაბილიტაციის, ინტეგრაციისა და რესოციალიზაციისათვის ხელშეწყობა.

6.10. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- 6.10.1. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა;
- 6.10.2. პატიმართა (მათ შორის, არასრულწლოვან პატიმართა) სპორტში ჩართვის უზრუნველყოფა და ამ გზით მათი რესოციალიზაციისათვის ხელშეწყობა.

6.11. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

- 6.11.1. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში;
- 6.11.2. რეკრეაციულ ზონებში (მათ, შორის დაცულ ტერიტორიებზე), სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, ველოტურებისა და სხვა შესაბამისი სპორტული აქტივობების ორგანიზების ხელშეწყობა ეკოტურიზმის განვითარების მიზნით;
- 6.11.3. თანამშრომლობა ყველა უწყებასთან და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში შესაბამისი რეკომენდაციების გაწევა გარემოს დაცვის სფეროში.

6.12. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- 6.12.1. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა;
- 6.12.2. სპორტის მეშვეობით მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური, ეროვნული და ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა.

6.13. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- 6.13.1. სპორტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან სპორტის სფეროში.

6.14. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- 6.15.1. უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების ინტეგრაცია ქართულ სპორტში.

6.15. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- 6.15.1. კომპეტენციის ფარგლებში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

სპორტის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ძირითადი ფუნქციაა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა-პატრონობა, ბავშვთა სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებაში მონაწილეობა და დაფინანსება, ასევე ბავშვთა მუნიციპალური სპორტული კლუბის დაფინანსება.

7. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

გაიზრდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის როლი სპორტის სისტემის მართვაში. სეოკი გახდება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მთავარი მრჩეველი სპორტის საკითხებში. შეიქმნება სეოკის ბიუჯეტის ფორმირების (არაპირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების) სამართლებრივი საფუძვლები და დადგინდება სეოკის მიერ აღნიშნული შემოსავლებით სპორტის დაფინანსების პრინციპები.

8. სპორტის სახეობათა ეროვნული ფედერაციები

სახელმწიფო სპორტის სახეობათა ეროვნული ფედერაციების დამოუკიდებლობისა და მათ საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპის დაცვით ხელს შეუწყობს მათ მიერ უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციების შესრულებას პროგრამული დაფინანსებითა და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის სხვა მექანიზმების გამოყენებით.

9. საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი

საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი პასუხისმგებელია საქართველოში პარალიმპიური მოძრაობის განვითარებაზე. იგი ქვეყნის მასშტაბით ხელმძღვანელობს პარალიმპიური სპორტის სახეობების განვითარებას, კურირებს და ორგანიზებას უწევს პარალიმპიურ თამაშებში და საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებულ სხვა შეჯიბრებებში ქართველ სპორტსმენტთა მონაწილეობას. პარალიმპიური კომიტეტი, პარალიმპიური მოძრაობის განვითარების მიზნით მხარდაჭერილი იქნება სახელმწიფოს მხრიდან.

10. სპორტის პოპულარიზაციის საფუძვლები

აუცილებელია მასმედიის საშუალებით სპორტის მრავალმხრივ გაშუქება და პოპულარიზაცია, რისთვისაც საჭიროა სპორტულ და სხვა სამაუწყებლო არხებზე მაქსიმალურად მეტი დრო დაეთმოს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მასობრივ და მაღალი მიღწევების სპორტს და მომზადდეს სხვადასხვა სპორტული გადაცემები/თოქ-შოუები.

ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში დამკვიდრდეს კალენდარული მასობრივი სპორტული ღონისძიებების აღნიშვნის ტრადიცია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მრავალი სპორტული ღონისძიება და მოხდება ქართული სპორტის ტრადიციების წარმოჩენა.

თავი V.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის ამოქმედებისა და შესრულების მოსალოდნელი შედეგები

1. მოსალოდნელი შედეგები ჯანმრთელობის, განათლებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში

მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცება, აკადემიური მოსწრების ამაღლება, კრიმინოგენური მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, დაავადებათა პრევენციის ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების შემცირება და უცხოეთში მცხოვრები ქართველი თანამემამულეების ქართული ენის და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

2. შედეგები მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის სფეროში

პოლიტიკის რეალიზაციის შედეგად მოსალოდნელია მაღალი მიღწევების სპორტის მყარი ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა, განვითარების მატერიალური ბაზის შექმნა, პროფესიული სპორტული კლუბებისა და ეროვნული ნაკრებების წარმატების ზრდა საერთაშორისო ასპარეზზე, მაღალი მიღწევების სპორტისადმი ბიზნეს-სექტორის ინტერესის გაზრდა, საქართველოს, როგორც წარმატებული სპორტული ქვეყნის, იმიჯის შექმნა და მისი მარკეტინგული მიმზიდველობის ზრდა.

3. საფინანსო-ეკონომიკური შედეგები

პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში მომსახურებისა და საქონლის წარმოების სფეროში ბუნებრივად შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მშენებლობის სეგმენტში, წარმოების სფეროში (სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო ცალკეული კომპონენტების წარმოება, მაგ.: სტადიონზე დასამონტაჟებელი სკამები, ავეჯი და სხვა), სპორტული ეკიპირებისა და სხვა სპორტული ინვენტარის წარმოება.